დასკვნა:**დ02.37221112**

თარიღი:**21/04/2022**

დასკვნა

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" - პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის" კომისიამ განიხილა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" პროექტი და დაადგინა:

1. "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" - პროექტი მისადაგებულია მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტისკენ, რომელთა რეალური რაოდენობა საკმაოდ უხვად ფიქსირდება მუნიციპალიტეტში.

2. მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის პროექტი სრულად აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. ზემოთ აღნიშნული თანამდებობრივი სარგოებისა და საშტატო ნუსხის პროექტი მიმდინარე პერიოდისთვის მოქმედ დოკუმენტთან შედარებით ეფექტურია, რაციონალურია და ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის მერიის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის" დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცების შესახებ.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი